დანართი №2

„თავისუფალი ხედვის აკადემია“ - ს მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „საექთნო საქმე“ დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ვალერი ჯაჯანიძე
წევრები: თათია გივიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **თავისუფალი ხედვის აკადემია**

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**

საიდენტიფიკაციო კოდი: **406460235**

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის მ.შ-ის 2026 წლის 17 ივლისის №940416 ბრძანების საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფს, შემადგენლობით: ვალერი ჯაჯანიძე - თავმჯდომარე, თათია გივიშვილი - წევრი, დაევალა შპს ,,თავისუფალი ხედვის აკადემია“ - ს მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,საექთნო საქმე” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმება. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პსდ-ს მიერ განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და 2026 წლის 27 ივლისს განახორციელა ვიზიტი მისამართზე, ქ. თბილისი, თრიალეთის ქ. N50 წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად, ვიზიტი თანამშრომლობით და საქმიან გარემოში წარიმართა, ჩატარდა გასაუბრება დაწესებულების დირექტორთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიული მოდულების განმახორციელებლებთან. ექსპერტების მიერ შემოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო აღჭურვილობა, მატერიალური და სასწავლო რესურსის ხელმისაწვდომობა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობა, სასწავლო პროცესის პრაქტიკული ორგანიზებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა. ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნო წარმოების ფარგლებში იდენტიფიცირებული მიგნებები და შეაჯამა ვიზიტი. ექსპერტთა შეფასებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,საექთნო საქმე” ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან მიმართებაში შეფასდა როგორც სრულად შესაბამისი.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

არ გამოვლენილა

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაცია/ები არ გაცემულა

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

2026 წლის 06 აგვისტოს ექსპერტთა ჯგუფთან წარმოდგენილი იქნა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის ამსახველი წერილი, რომლის თანახმადაც პსდ იზიარებს ექსპერტების პოზიციას და ეთანხმება დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	საექთნო განათლება
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	აკადემიის ხელმძღვანელის 2026 წლის 03 ივლისის №01/64 ბრძანება (ცვლილება 27/07/2026 წ. №01/76 ბრძანება)
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, თრიალეთის ქ. N50
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	60
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)*	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.1.1.1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

შპს ,,თავისუფალი ხედვის აკადემია“- ს ხელმძღვანელის 2024 წლის 03 აპრილის №01/8 ბრძანებით (ბოლო ცვლილება, ბრძანება №01/76; 27.08.2025 წ.) დამტკიცებული დოკუმენტის „საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ინსტრუქცია და დამტკიცების წესი“ მიხედვით, განსაზღვრულია აკადემიის მიერ ახალი პროფესიული პროგრამის შემუშავების და დამტკიცების პროცედურები. აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად კონკრეტული ინიციატივის შემთხვევაში, განსაზღვრული მოკვლევის საფუძველზე ხელმძღვანელის მიერ მტკიცდება პროგრამის შემუშავების ჯგუფი. აკადემია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შეიმუშავებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას. წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,საექთნო საქმე” თვითშეფასების ფორმაში არსებული მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილი იძლევა სრულ სურათს პროგრამის განხორციელების საჭიროების შესახებ, აღნიშნულ დოკუმენტში წარმოდგენილია სხვადასხვა ტიპის კვლევების, მათ შორის ,,საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი 2024“ და 2025 წლის “უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევა” ანალიზი, წარმოდგენილია პოტენციური დამსაქმებლების საინიციატივო წერილი და საქართველოში არსებული დასაქმების პლატფორმების მოკვლევა, რის საფუძველზეც დგინდება, რომ წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგებით განსაზღვრული კომპეტენციის მქონე ადამიანური რესურსი თანამედროვე შრომის ბაზარზე მოთხოვნადია.

პსდ-ს გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,საექთნო საქმე” განხორციელებასთან დაკავშირებით შესაბამისობაშია აკადემიის მისიასთან, კერძოდ დაწესებულების მისიაა „შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების უზრუნველსაყოფად, სხვადასხვა პროფილის კვალიფიციური კადრების მომზადება და განათლების ინტერნაციონალიზაცია, რაც ხელს შეუწყობს სოციალურ ინკლუზიას, ინდივიდის პიროვნულ და პროფესიული განვითარებას“. აკადემიის გადაწყვეტილება წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებისა და განხორციელების შესახებ ეფუძნება პსდ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმის მეორე სტრატეგიულ მიზანს - ,,შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა და განვითარება“, რაც თავის მხრივ განმტკიცებულია მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია.

2.1.1.2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,საექთნო საქმე" დაშვების წინაპირობა განსაზღვრულია პროგრამით და წარმოადგენს სრულ ზოგად განათლებას (შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი).

პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები განსაზღვრულია აკადემიის ხელმძღვანელის 2025 წლის 26 თებერვლის №01/106 ბრძანებით დამტკიცებული "თავისუფალი ხედვის აკადემიის პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესის" მე-12 მუხლი არეგულირებს უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევის წესსა და პროცედურებს. შესაბამისად, უზრუნველყოფილია პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვება, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. დოკუმენტი ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის 42/ნ ბრძანებას ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ".

ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია.

2.1.1.3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

აკადემიაში მოქმედებს დაწესებულების მიერ შემუშავებული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების ხელმძღვანელის 2024 წლის 15 აპრილის №01/11 ბრძანებით. წარმოდგენილი დოკუმენტის საფუძველზე განისაზღვრება პროგრამის განხორციელების მიდგომისა და სპეციფიკის გათვალისწინებით საჭირო მატერიალური და ადამიანურ რესურსი, სასწავლო გარემოთა ტიპი და ოდენობა.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,საექთნო საქმე" სტუდენტთა ზღვრული რაოდენობაა 60 პროფესიული სტუდენტი, პსდ-ს წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით გამოყოფილი აქვს ერთი სალექციო/პრაქტიკული აუდიტორია - AC გარემო და ერთი B სასწავლო გარემო 30 პროფესიულ სტუდენტზე, აკადემია სწავლების განხორციელებას გეგმავს ორ ცვლაში..

ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია.

2.1.1.4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

პსდ-ს მიერ წარმოდგენილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,საექთნო საქმე" დამატების შესახებ განაცხადს თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური/საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალი და სასწავლო რესურსი, რომელიც წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ მოდულში. მოდულებით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, რელევანტურია და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროფესიული განათლების მასწავლებლები ჩართული არიან რესურსების შეფასებისა და საჭიროების განსაზღვრის პროცესში.

ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია.

2.1.1.5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,საექთნო საქმე" არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.

ინდიკატორი 2.1.1.5 დაკმაყოფილებულია.

2.1.1.6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილი პირი განისაზღვრება შპს ,,თავისუფალი ხედვის აკადემია"- ს ხელმძღვანელის 2024 წლის 03 აპრილის №01/8 ბრძანებით (ბოლო ცვლილება, ბრძანება №01/76; 27.08.2025 წ.) დამტკიცებული დოკუმენტის „საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ინსტრუქცია და დამტკიცების წესი" საფუძველზე და აღნიშნული რეგულაციის მე-7 მუხლის შესაბამისად აღნიშნული უფლებამოსილება აქვს აკადემიის ხელმძღვანელს.

წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,საექთნო საქმე" დამტკიცებულია აკადემიის ხელმძღვანელის 20.05.2026 წლის №04-77 (ცვლილება 27/07/2026 წ. №01/76 ბრძანება) ბრძანებით.

ინდიკატორი 2.1.1.6 დაკმაყოფილებულია.

2.1.1.7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

აკადემიის მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებაა ,,საექთნო საქმე", რომელიც გამომდინარეობს შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდებიდან, აღნიშნული სახელწოდება სრულად მოდის შესაბამისობაში პროგრამის შინაარსთან და მისაღწევ სწავლის შედეგებთან, შესაბამისად წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ,,საექთნო საქმე" არ არის შეცდომაში შემყვანი.

ინდიკატორი 2.1.1.7 დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

2.1.1.8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

თავისუფალი ხედვის აკადემიის მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საქართველო საქმე“ შემუშავების საფუძველია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი - საქართველო განათლება. პროგრამა მოიცავს სასწავლო გეგმას, ინფორმაციას ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ. დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია (180 კრედიტი ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის, 210 კრედიტი არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის). პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობაა - 31 სასწავლო თვე (125 კვირა) პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებსაც უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია და 37 სასწავლო თვე (149 კვირა) არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. სასწავლო გეგმა ითვალისწინებს მოდულების წინაპირობებს. დაცულია დროის შუალედები განმეორებითი შეფასებისთვის, პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო დატვირთვა არ აღემატება დასაშვებ კვირეულ დატვირთვას.

ინდიკატორი 2.1.1.8 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- აკადემიის მისია;
- აკადემიის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- „საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ინსტრუქცია და დამტკიცების წესი“;
- ,,თავისუფალი ხედვის აკადემიის პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესის”;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,საქართველო საქმე” მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილი;
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- პროგრამის პაკეტი;
- აკადემიის ხელმძღვანელის ბრძანება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,საქართველო საქმე” დამტკიცების შესახებ.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.1.1 პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,საექთნო საქმე" სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესაბამისობის დადგენის მიზნით ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა გარემო, გაეცნო დოკუმენტაციას და გაესაუბრა პროფესიული პროგრამის განმახორციელებლებს. კერძოდ, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა აკადემიის მიერ პროფესიული პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი AC და B სასწავლო გარემოში არსებული მატერიალური რესურსის შესაბამისობა - AC სასწავლო გარემოები აღჭურვილია სწავლის შედეგის მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, 30 ერთეული სტუდენტის მაგიდა და სკამი, პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, დემონსტრირების ციფრული საშუალება და სხვა ინვენტარი; B სასწავლო გარემოში წარმოდგენილია 30 კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისათვის, ერთი კომპიუტერი პროგრამის განმახორციელებელი პირისთვის 1 მულტიფუნქციური პრინტერი, პროექტორი და შესაბამისი საპროექციო დაფა.

პროგრამით გათვალისწინებული კლინიკური სწავლების მოდულების განხორციელება იგეგმება შესაბამის სამედიცინო დაწესებულებებში: შპს ,,ჯეო ჰოსპიტალს " (ხელშ. 06.05.2026 წ.) 120 პროფესიულ სტუდენტზე; შპს დავით დავარაშვილის კლინიკა (ხელშ. 25.06.2026 წ.) 120 პროფესიულ სტუდენტზე; შპს ქალაქ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი, (ხელშ. 04.06.2026 წ.) 120 პროფესიულ სტუდენტზე; შპს ,,კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტი (ხელშ. 24.07.2026 წ.) 120 პროფესიული სტუდენტზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი მოდულების ჩამონათვალი და ამ მოდულების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის ნუსხა. ხელშეკრულების თანახმად აკადემიის პარტნიორი კლინიკები ადასტურებენ მოდულით განსაზღვრული აქტივობების განხორციელების შესაძლებლობას შესაბამის განყოფილებებში.

შპს ,,ჯეო ჰოსპიტალს" - ში განხორციელდება შემდეგი მოდულები: 1. კლინიკური პრაქტიკა-გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა; 2. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა; 3. კლინიკური პრაქტიკა-თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა; 4. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა--თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა; 5. კლინიკური პრაქტიკა-კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა; 6. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა- კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექრთნო მართვა; 7. კლინიკური პრაქტიკა- პედიატრია და მოზარდები; 8.შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-პედიატრია და მოზარდები; 9. კლინიკური პრაქტიკა -ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა; 10. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა.

შპს ,,კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტი" განხორციელდება შემდეგი მოდულები: 1. კლინიკური პრაქტიკა-გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა; 2. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა; 3. კლინიკური პრაქტიკა-თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა; 4. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა--თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა; 5. კლინიკური პრაქტიკა-კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა; 6. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა- კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა; 7. კლინიკური პრაქტიკა -ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა; 8.შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა.

შპს დავით დავარაშვილის კლინიკაში განხორციელდება ორი მოდული 1. კლინიკური პრაქტიკა - სამიანო და გინეკოლოგიური პაციენტის მართვა საექთნო საქმეში; 2.შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა- სამიანო და გინეკოლოგიური პაციენტის მართვა საექთნო საქმეში; ამ მოდულების გავლისთვის საჭირო ინვენტარს, აღჭურვილობას კლინიკა უზრუნველყოფს.

დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება კლინიკასთან შპს ,,ქალაქ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი", აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, დაწესებულებაში განხორციელდება ორი მოდული 1. „კლინიკური პრაქტიკა-ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია" და 2. „შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია" პრაქტიკული კომპონენტი. წარმოდგენილი დოკუმენტაციით, დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, განმახორციელებელ პირებთან და პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დასტურდება რომ პროფესიული პროგრამის „„კლინიკური პრაქტიკა-ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია" და „შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია" მდგრადია და მისი წარმატებით განხორციელება ხელმისაწვდომია. პროგრამის ფარგლებში კლინიკური სწავლების კომპონენტის განსახორციელებლად სამედიცინო დაწესებულებას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს 120 სტუდენტზე.

შპს თავისუფალი ხედვის აკადემიაში განხორციელდება მოდულები „ავადმყოფის მოვლა" და „შინმოვლა". აკადემიაში მოწყობილია AC გარემო სადაც მოთავსებული არის ამ მოდულების გავლისთვის საჭირო ინვენტარი და აღჭურვილობა.

ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა პრაქტიკის ობიექტების დათვალიერება, განმახორციელებთან განხორციელდა სატელეფონო გასაუბრება, რომლის დროსაც მათ გამოხატეს სრული მზაობა აკადემიასთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

შესახებ, აკადემიის სტუდენტებისთვის უზრუნველყონ პროგრამის მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის ხელშეწყობა. აღნიშნულის გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროფესიული სტუდენტები პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისას იქნებიან უზრუნველყოფილი, შესაბამისი რესურსითა და აღჭურვილობით, ჩართული იქნებიან მოდულებით გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში უშუალოდ, პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე. შესაბამისად უზრუნველყოფილი იქნება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით 60 პროფესიული სტუდენტისთვის.

ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია.

2.2.1.2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

პროფესიულ საგანანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის განსაზღვრულია 68 განმახორციელებელი პირი, მათ შორის 7 პროფესიული განათლების მასწავლებელი განახორციელებს ზოგად, ხოლო 20 - დარგობრივ მოდულებს, რაც შეეხება ე.წ. კლინიკურ მოდულებს თავისუფალი ხედვის აკადემიას ხელშეკრულება გაფორმებული 41 პროფესიული განათლების მასწავლებელთან. მასწავლებელთა რაოდენობა უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. ვიზიტის დროს გადამოწმდა და დადასტურდა მათთან გაფორმებული წინასწარი ხელშეკრულებების არსებობა და მისი შესაბამისობა კანონმდებლობის მოთხოვნებთან, გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პერსონალი შეძლებს გაუძღვეს, წინასწარი ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოდულებს.

შესაბამისად, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასტურდება, რომ დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილია პროგრამის განხორციელების მდგრადობა წარმოდგენილი ადამიანური რესურსით.

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია.

2.2.1.3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეების შესწავლა და მათთან გასაუბრება, რის შედეგადაც დადგინდა, რომ წინარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირები სრულად აკმაყოფილებენ პსდ-ს მიერ პროფესიული მასწავლებლისადმი წაყენებულ მოთხოვნებს და დაკავებულ პოზიციაზე მათი შერჩევა მოხდა კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების შესაბამისად. გასაუბრებიდან გაირკვა, რომ პროგრამის განხორციელებისათვის შერჩეულ მასწავლებლებს აქვთ მოდულური სწავლების გამოცდილებაც, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ პროგრამაზე სწავლის დაწყებამდე იგეგმება მასწავლებელთათვის ტრენინგების ჩატარება პროფესიულ განათლებაში სწავლებისა და შეფასების მიმართულებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

პირადი საქმეების განხილვის შედეგად დადგინდა, რომ პროფესიული პროგრამის ,,საექთნო საქმე" პროფესიული მოდულების განმახორციელებლად შერჩეული პირები მუდმივად მონაწილეობენ სხვადასხვა ტიპის ტრენინგ-პროგრამებში, რაც დასტურდება შესაბამისი სერტიფიკატებით.

ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია.

2.2.1.4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამას ჰყავს მაღალი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რაც დასტურდება დიპლომით და შესაბამისი გამოცდილებით, ხოლო მასთან გასაუბრებით ვლინდება მისი მზაობა პროგრამას უხელმძღვანელოს სათანადო დონეზე. მისი ფუნქციები და სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები განისაზღვრება მასთან გაფორმებული ხელშეკრულებით. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად პროგრამის ხელმძღვანელი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო გეგმის ადაპტირება-შემუშავებაში, განმახორციელებელი პერსონალის შერჩევაში, საგანმანათლებლო რესურსის განსაზღვრაში, დარგში სიახლეების გაცნობა–დანერგვაში და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებაში.

ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია.

2.2.1.5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

დაწესებულებაში არსებული ყველა საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ბეჭდური/ელექტრონული სახით სტუდენტებისათვის. ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია სასწავლო რესურსი. ელექტრონული სასწავლო რესურსი განთავსებულია ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში, საიდანაც მოხდება მომხმარებლის სურვილის შესაბამისად, მასალების მიწოდება (ელექტრონულ მატარებლებზე გადატანა ან ბიბლიოთეკაში დაბეჭდვა). ბიბლიოთეკის ფონდი შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებულ ლიტერატურას. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილასაა გამოკრული ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და მუდმივად წარმოებს ყოველდღიური აღრიცხვის ჟურნალის შევსება.

ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია.

2.2.1.6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

დაწესებულებაში მოქმედი აკადემიის ხელმძღვანელის 27.08.2025 წლის №01/78 ბრძანებით (ბოლო ცვლილება ხელმძღვანელის 29/12/2025 წლის №01/134 ბრძანება) დამტკიცებული რეგულაციის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, მე-10 მუხლში აღწერილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიდგომები და შესაბამისი მომსახურების გაწევის სხვა მექანიზმები, მათ შორის მოდიფიკაციისა და აკომოდაციის შესაძლებლობები და სასწავლო რესურსის ადაპტირების საკითხები. ინფორმაციას ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში ჩასატარებელი დამატებითი მეცადინეობებისა და რესურსის საჭიროებების შესახებ დირექციას წერილობით აცნობებს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი. პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო გარემო და აკადემიის საერთო სარგებლობის სივრცეები სრულად ადაპტირებულია სსსმ/შშმ პირების ოპერირებისთვის. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან. სასწავლო კორპუსში მოწყობილია პანდუსი, ბილიკები სსსმ/შშმ პირებისთვის, სველი წერტილები ყველა სართულზე და არის ლიფტი. აკადემიას აქვს ყველა პირობა იმისთვის, რომ სურვილის შემთხვევაში შეზღუდული შესაძლებლობების სტუდენტებმა შეძლონ სასწავლო რესურსებით და სივრცეებით სარგებლობა.

ინდიკატორი 2.2.1.6 დაკმაყოფილებულია.

2.2.1.7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

აკადემიას შემუშავებული ჰქონდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,საექთნო საქმე” საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ სავარაუდო შემოსავლებისა და ხარჯების კალკულაციას. შემოსავალი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას, სადაც გათვალისწინებულია შემოსავლებში - ვაუჩერული დაფინანსება. ხარჯებში - პროფესიული მასწავლებლების შრომითი ანაზღაურება და მასალა-ნედლეულის ხარჯი. საპროგნოზო ბიუჯეტის მიხედვით პროგრამა მდგრადი იყო, რადგან სავარაუდო ხარჯების ნაწილს ფარავს შემოსავლების ნაწილი. რენტაბელობის ზღვარი განსაზღვრულია 10 სტუდენტით.

ინდიკატორი 2.2.1.7 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- აკადემიის მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,საექთნო საქმე” განსახორციელებლად საჭირო სასწავლო გარემოს ვიზუალური დათვალიერება;
- ინტერვიუ შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან;
- პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გაფორმებული წინასწარი ხელშეკრულებები;
- პროგრამის ხელმძღვანელთან დადებული ხელშეკრულება და პირადი საქმეები;
- პარტნიორ ორგანიზაციებთან დადებული ხელშეკრულებები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;
- აკადემიის ხელმძღვანელის ბრძანება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,საექთნო საქმე" დამტკიცების შესახებ;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.3.1.1 პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

აკადემიაში მოქმედებს დაწესებულების ხელმძღვანელის 2025 წლის 27 აგვისტოს №01/72 ბრძანებით დამტკიცებული „თავისუფალი ხედვის აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემა", რომელშიც გაწერილია პროგრამის შეფასებასთან და განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები. რეგულაციის შესაბამისად, განისაზღვრება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კონკრეტული მექანიზმები და ღონისძიებები. კერძოდ პროგრამების შეფასების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს: მონაცემების შეგროვება, დამუშავება, გასაუმჯობესებელი მხარეების გამოყოფა, რეკომენდაციების შემუშავება და ცვლილებების დაგეგმვა. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი იყენებს პროფესიულ სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა და დამსაქმებელთა გამოკითხვებს და მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ახორციელებს პროგრამის შეფასებას, შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვასა და გატარებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები მოიცავს სისტემურობას და ხარისხის კონტროლის ციკლურ სისტემას, ე.წ. დემინგის ციკლს - ,,დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე და განავითარე" პროგრამის შეფასების მიზნით გამოიყენება უკუკავშირის მექანიზმი. მათ შორის მოდულისა და საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ანკეტები, პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასება პროფესიული სტუდენტების მიერ, სასწავლო პროცესზე დაკვირვების ანკეტა, კურსდამთავრებულთა კვლევა, ბიბლიოთეკის შეფასების კითხვარი, რესურსებისა და საინფორმაციო ინფრასტრუქტურის ეფექტიანობის შეფასების

ინსტრუმენტები და სხვა.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებაში ჩატარებული კვლევითი პრაქტიკის, შესაბამისი ანგარიშებისა და რეაგირების დოკუმენტაციის დეტალურმა შესწავლამ დაადასტურა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისას მუდმივად ითვალისწინებენ შრომის ბაზრის საჭიროებებს, დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს, ასევე ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე არსებულ საუკეთესო გამოცდილებას. ეს ყოველივე პირდაპირ უწყობს ხელს პროგრამების ხარისხის უწყვეტ ამაღლებას.

აღნიშნულის საფუძველზე, აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის მოქმედი სისტემა ფასდება ეფექტიან მექანიზმად, რომელიც გარანტირებულს ხდის საგანმანათლებლო პროგრამების მაღალი სტანდარტის შენარჩუნებას, მათ პერიოდულ განვითარებასა და სრულ შესაბამისობას როგორც შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებთან, ისე პროფესიული განათლების მოქმედ სტანდარტებთან.

ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია.

2.3.1.2 პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

პროგრამების მონიტორინგი ტარდება წინასწარ დადგენილი პერიოდულობით და ეყრდნობა მონაცემთა მრავალფეროვან წყაროებს, შეფასების პროცესში გამოიყენება პროფესიულ სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა, პედაგოგთა უკუკავშირი, სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგები, კვლევითი ანგარიშები და სხვა ვერიფიცირებული მონაცემები. ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, საჭიროებისამებრ, ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამებისა და მოდულების სრულყოფა. ცვლილებები შეიძლება შეეხოს შინაარსს, შეფასების სისტემას, საათობრივ დატვირთვას, სწავლების მეთოდებსა თუ რესურსებს. ეს პროცესი მიმდინარეობს დადგენილი პროცედურების დაცვით, პასუხისმგებელი პირებისა და პერსონალის ჩართულობით, ხოლო ცვლილებები ასახვას ჰპოვებს შესაბამის დოკუმენტაციაში. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ასევე მოიცავს მაკორექტირებელ მექანიზმებს, რომლებიც უზრუნველყოფს შესაძლო შეუსაბამობების გამოვლენას, მიზეზების ანალიზს, პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვასა და გატარებული ქმედებების ეფექტიანობის შეფასებას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებულმა ინტერვიუებმა და წარმოდგენილმა მტკიცებულებებმა დაადასტურა, რომ აკადემია სისტემურად ახორციელებს ხარისხის შეფასებას და შედეგებზე დაყრდნობით ოპერატიულად გეგმავს გაუმჯობესების ნაბიჯებს. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით მოპოვებული მონაცემები აქტიურად გამოიყენება პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

შესაბამისად, დასტურდება, რომ აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა უზრუნველყოფს პროგრამების შედეგების სისტემურ შეფასებასა და ამაზე დაფუძნებულ, დროულ და დასაბუთებულ განვითარებას, რაც ხელს უწყობს სწავლების ხარისხის უწყვეტ ამაღლებას.

ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემა";
- საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ინსტრუქცია და დამტკიცების წესი;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.1.1 პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,საქართველო საქმე" განაცხადის დანართებში წარმოდგენილია პროგრამის განხორციელების სასწავლო გეგმა, სასწავლო გეგმით განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზით დასტურდება დაგეგმილი სასწავლო პროცესის ლოგიკური თანამიმდევრულობა, სადაც მკაცრადაა გათვალისწინებული მოდულების/კურსების წინაპირობები და სტუდენტთა კვირეული საათობრივი დატვირთვის ზღვრული ნორმები. აღსანიშნავია, რომ შემუშავებული სასწავლო გეგმები ითვალისწინებს გონივრულ დროით ინტერვალებს განმეორებითი შეფასებების ორგანიზებისათვის.

ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული დოკუმენტების შესწავლით, ასევე აკადემიის ადმინისტრაციასთან, პედაგოგიურ პერსონალსა და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუირების საფუძველზე დასტურდება, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს ეფექტიანი მექანიზმები და გააჩნია სრული მზაობა, რათა პრაქტიკაში ეფექტიანად, გამჭვირვალედ და თანმიმდევრულად განახორციელოს საგანმანათლებლო პროცესი დამტკიცებული გეგმების შესაბამისად.

ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია

2.4.1.2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

დაწესებულებაში მოქმედი აკადემიის ხელმძღვანელის 27.08.2025 წლის №01/78 ბრძანებით (ბოლო ცვლილება ხელმძღვანელის 29/12/2025 წლის №01/134 ბრძანება) დამტკიცებული რეგულაციის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი", განისაზღვრება პროფესიული სტუდენტების სტატუსის, უფლებებისა და ადმინისტრაციული პროცედურების მართვის მექანიზმები. დოკუმენტი დეტალურად განსაზღვრავს: პროფესიული სტუდენტის უფლება/მოვალეობებს, სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის წესებს, მობილობის განხორციელების პირობებს, მიღებული განათლების აღიარების პრინციპებს, პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმებს.

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით ვლინდება, რომ მათ აქვთ მზაობა სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გაითვალისწინონ პროფესიულ სტუდენტთა ინტერესები. სასწავლო გეგმით განსაზღვრულია პროგრამის ხანგრძლივობა, ხოლო პროგრამითა და მოდულებით მისაღწევი შედეგები, რომელსაც უნდა ფლობდეს პროფესიული სტუდენტი პროგრამის დამთავრებისას. თუმცა, თუ ფორს-მაჟორული სიტუაცია დადგება ან სხვა მნიშვნელოვანი მიზეზით ვერ მოხერხდება სასწავლო გეგმის დაცვა, დაწესებულება მოქნილად, პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით მოახდენს რეაგირებას მსგავს გარემოებებზე, როგორც ჯგუფებისთვის, ისე ინდივიდუალურ გამოწვევებზე. კერძოდ, ეს შეიძლება გამოიხატოს სასწავლო გეგმის ცვლილებაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში ან საჭიროების შემთხვევაში ჩატარდეს დამატებითი მეცადინეობები/კონსულტაციები.

დაწესებულებაში მოქმედი რეგულაციების შესწავლით დადასტურდა, რომ აკადემიაში მოქმედებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების, პროფესიულ სტუდენტთა კონსულტირებისა და მხარდაჭერის ეფექტიანი მექანიზმები. გარდა ამისა, მკაფიოდ არის განსაზღვრული სტუდენტთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

კმაყოფილების კვლევის, უკუკავშირის მოპოვებისა და შედეგების პრაქტიკაში გამოყენების პროცედურები. ეს ყოველივე მყარ საფუძველს ქმნის სასწავლო პროცესის უწყვეტი სრულყოფისა და სტუდენტის ინტერესებსა თუ საჭიროებებზე მორგებული გარემოს განვითარებისთვის.

ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია

2.4.1.3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

დაწესებულებაში სასწავლო პროცესი ეფუძნება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიას და დარგობრივი, აქტუალური ტექნოლოგიების ინტეგრირებას. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, აუდიტორიების და პრაქტიკული მეცადინეობების სივრცეების უშუალო დათვალიერებით დადასტურდა, რომ საგანმანათლებლო გარემო სრულად არის აღჭურვილი დარგის შესაბამისი თანამედროვე ხელსაწყოებით, დანადგარებითა და ტექნიკური საშუალებებით, ესაა საექთნო საქმეში არსებული თანამედროვე აღჭურვილობა და ტექნიკური საშუალებები, რომელიც გამოიყენება მედიცინის სფეროში, რაც სტუდენტებს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში ტრანსფერის შესაძლებლობას აძლევს. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართული პირები დარგის მოქმედი მუშაკები არიან, ხოლო სტუდენტები კლინიკური მოდულების სწავლებას მოქმედი კლინიკების ბაზაზე გაივლიან, რაც თავისთავად ქმნის წინაპირობას, რომ სწავლების პროცესში გამოყენებული იქნება დარგის უახლესი მიღწევები და ტექნოლოგიები

ინდიკატორი 2.4.1.3 დაკმაყოფილებულია.

2.4.1.4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

დაწესებულებაში მოქმედი აკადემიის ხელმძღვანელის 27.08.2025 წლის №01/78 ბრძანებით (ბოლო ცვლილება ხელმძღვანელის 29/12/2025 წლის №01/134 ბრძანება) დამტკიცებული რეგულაციის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ შესაბამისად განსაზღვრულია დაწესებულებაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების ეფექტიანი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მოქნილ ადაპტირებას პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებთან. აღნიშნული რეგულაცია ეფუძნება თანასწორი ხელმისაწვდომობის, ინკლუზიურობისა და სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების ფუნდამენტურ პრინციპებს.
ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება როგორც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) სტუდენტებისთვის, ისე იმ შემთხვევებში, როდესაც სწავლის პროცესი განსხვავებულ ორგანიზებას მოითხოვს — მათ შორის მობილობის, სტატუსის აღდგენის, მოდიფიცირებულ თუ ოპტიმიზებულ პროგრამაზე გადასვლისას, ჯანმრთელობის მდგომარეობის, ხანგრძლივი ავადმყოფობისა თუ სხვა ობიექტური გარემოებების არსებობისას. ეს მიდგომა თითოეულ სტუდენტს სწავლის შედეგების სრულფასოვნად მიღწევის პირობებს უქმნის.
გეგმის შემუშავებისა და დანერგვის პროცესში ერთობლივად მონაწილეობენ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, თავად პროფესიული სტუდენტი (საჭიროების შემთხვევაში მისი უფლებამონაცვლე) და თუ საჭიროება მოითხოვს მოწვეული სპეციალისტები. ეს უზრუნველყოფს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

სტუდენტის ინტერესების მაქსიმალურ გათვალისწინებას. შედეგად, სწავლებისა და შეფასების პროცესის სტუდენტის შესაძლებლობებზე მორგება ხელს უწყობს მის სრულფასოვან ჩართულობასა და დასახული საგანმანათლებლო მიზნების წარმატებით მიღწევას.

ინდიკატორი 2.4.1.4 დაკმაყოფილებულია.

2.4.1.5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,საექთნო საქმე" აკადემიის მიერ განხორციელდება კოოპერაციული მიდგომით რეალურ სამუშაო გარემოში, ამ მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორ სამედიცინო დაწესებულებებთან;

1. შპს ჯეო ჰოსპიტალსი (მის. ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ., №45);
2. შპს "ქალაქ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი" (მის. ქ. თბილისი, მ. იპოლიტ-ივანოვის ქ. №8);
3. შპს ,,დავით დავარაშვილის კლინიკა" (მის. ქ. თბილისი, ლუბლიანას 13/მ. ჭიაურელის 6);
4. შპს ,,კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტი (მის. ქ. თბილისი, კ. ჩაჩავას ქ. №1).

ინდიკატორი 2.4.1.5 დაკმაყოფილებულია.

2.4.1.6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,საექთნო საქმე" სალექციო მეცადინეობები ჩატარდება AC სასწავლო გარემოში, ხოლო პრაქტიკული მეცადინეობისთვის აკადემიას გამოყოფილი აქვს მის საკუთრებაში არსებული C სასწავლო გარემო შესაბამისი მატერიალურ ტექნიკური რესურსით, ექსპერტთა შეფასებით სასწავლო პროცესი ხორციელდება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. C გარემოში მოთავსებულია პირველადი სამედიცინოო დახმარების ყუთი, ცეცხლმაქრი. სწავლების პროცესი ითვალისწინებს ინსტრუქტაჟს საველე პირობებში სამუშაოების წარმოებისას და მის დაწყებამდე. პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე სასწავლო პროცესში მონაწილე სტუდენტთა უსაფრთხოების ვალდებულება ხელშეკრულების მიხედვით ეკისრება კლინიკას, ვიზიტის ფარგლებში გასაუბრების შედეგად დადასტურდა პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლების სრული მზაობა - უზრუნველყონ უსაფრთხო სასწავლო გარემო.

ინდიკატორი 2.4.1.6 დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასწავლო გეგმა;
- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
- ინტერვიუს შედეგები;
- ვიზუალური დათვალიერება;
- პარტნიორ ორგანიზაციებთან დადებული ხელსეკრულებები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,საქართნო საქმე” პაკეტი.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.2.1 პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

დაწესებულებაში მოქმედი აკადემიის ხელმძღვანელის 27.08.2025 წლის №01/78 ბრძანებით (ბოლო ცვლილება ხელმძღვანელის 29/12/2025 წლის №01/134 ბრძანება) დამტკიცებული რეგულაციის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სტუდენტთა შეფასება ხორციელდება წინასწარ დადგენილი პროცედურების მიხედვით. შეფასების სისტემა მიზნად ისახავს პროცესის სიზუსტის, სამართლიანობის, გამჭვირვალობისა და ობიექტურობის უზრუნველყოფას. დოკუმენტში მოცემულია სტუდენტთა შეფასების, ინფორმირების, შედეგების გასაჩივრებისა და განმეორებითი შეფასების პროცედურები, რაც უზრუნველყოფს პროცესის წარმართვას დადგენილი სტანდარტების სრული დაცვით. აკადემიაში მოქმედი რეგულაციებით, განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტებს ამზადებს პროფესიული განათლების მასწავლებელი მოდულის სპეციფიკისა და სწავლის შედეგების გათვალისწინებით. სწავლის დაწყებამდე ეს ინსტრუმენტები გადაეცემა სწავლების, განვითარებისა და ინოვაციური პროცესების ხელშეწყობის მენეჯერს ფორმალური და ტექნიკური შემოწმებისთვის. სასწავლო პროცესის მენეჯერი, დარგის ექსპერტებთან ერთად, ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციას.
ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა აკადემიაში ავტორიზებულ რეჟიმში მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეფასების სისტემის მექანიზმების გამართული მუშაობა, შემოწმდა არსებული შეფასების ინსტრუმენტი, მისი ვალიდურობა, შეფასების პროცესის წარმართვის ამსახველი მტკიცებულებები და დადგინდა, რომ დაწესებულებაში მოქმედი რეგულაციის მიხედვით გაწერილი მექანიზმები უზრუნველყოფენ, რომ შეფასების სისტემა იყოს ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

ინდიკატორი 2.4.2.1 დაკმაყოფილებულია

2.4.2.2 პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

შეფასების სისტემის ვერიფიკაციის ძირითადი მექანიზმები და პროცედურები გაწერილია დაწესებულებაში მოქმედი აკადემიის ხელმძღვანელის 27.08.2025 წლის №01/78 ბრძანებით (ბოლო ცვლილება ხელმძღვანელის 29/12/2025 წლის №01/134 ბრძანება) დამტკიცებული რეგულაციის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ შესაბამისად, წესის მე-5 თავში მოცემულია ვერიფიკაციის მიზნები, მიმართულებები, ფორმები და ეტაპები, რაც უზრუნველყოფს შეფასების სისტემის შესაბამისობას მოქმედ სტანდარტებთან. პროცესი მოიცავს პასუხისმგებელი პირების გამოყოფას, ვერიფიკატორთა შერჩევას, რისკებზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენებას, დოკუმენტირებასა და შედეგების ანალიზს. მიღებული დასკვნები განიხილება შესაბამის სტრუქტურებში, სადაც საჭიროებისამებრ იგეგმება მაკორექტირებელი და განვითარებისკენ მიმართული აქტივობები.

შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესით განსაზღვრულ აქტივობებს ახორციელებს აკადემიის ხელმძღვანელის ბრძანებით შექმნილი ვერიფიკაციის ჯგუფი, პროგრამის ხელმძღვანელები, პროფესიული განათლების მასწავლებლები და დარგის სპეციალისტები. პროცესის კოორდინაციას უწევს ხარისხის უზრუნველყოფის, კვლევებისა და ვერიფიკაციის მიმართულების მენეჯერი. ვერიფიკაციის პროცესი წარიმართება წინასწარ განსაზღვრული რისკების შესაბამისად. რისკების ანალიზი საშუალებას იძლევა გამოვლინდეს შეუსაბამობების მაღალი ალბათობის მქონე სფეროები, როგორიცაა: დამწყები მასწავლებლების ფაქტორი, პრაქტიკული დავალებების სირთულე და მოცულობა, ერთდროულად შესაფასებელი სწავლის შედეგების რაოდენობა და საგანმანათლებლო სტანდარტის ცვლილებები.

ვერიფიკაციის ფარგლებში მოწმდება შეფასების ინსტრუმენტების თავსებადობა სწავლის შედეგებთან, პროცესის სანდოობა და მტკიცებულებების სისრულე. ობიექტურობისა და დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად. ექსპერტთა შეფასებით აკადემიაში მოქმედი ვერიფიკაციის მექანიზმი უზრუნველყოფს შეფასების პროცესის ხარისხის ეფექტიან კონტროლს, სისტემურ მონიტორინგსა და განვითარებაზე ორიენტირებულ მართვას.

ინდიკატორი 2.4.2.2 დაკმაყოფილებულია

2.4.2.3 პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

დაწესებულებაში მოქმედი აკადემიის ხელმძღვანელის 27.08.2025 წლის №01/78 ბრძანებით (ბოლო ცვლილება ხელმძღვანელის 29/12/2025 წლის №01/134 ბრძანება) დამტკიცებული რეგულაციის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ შესაბამისად, სრულად არის მოწესრიგებული შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის, ინფორმაციისა და მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის წესი. რეგულაციის მიხედვით, შეფასების პროცესში შექმნილი და გამოყენებული ყველა დოკუმენტი, მათ შორის შეფასების ინსტრუმენტები, შეფასების შედეგები და შესაბამისი მტკიცებულებები, ექვემდებარება რეგისტრაციასა და სისტემურ აღრიცხვას. აღნიშნულ პროცესზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მენეჯერი, რომელიც უზრუნველყოფს დოკუმენტაციის სრულყოფილად აღრიცხვასა და ორგანიზებულ მართვას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

ვიზიტის ფარგლებში დეტალურად იქნა შესწავლილი და შეფასებული დაწესებულებაში სასწავლო პროცესის მართვისა და შეფასების სისტემის პრაქტიკული ფუნქციონირება. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების რეალურობისა და პროცესის მდგრადობის დასადასტურებლად, ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტთა ჯგუფის მიერ არქივიდან უშუალოდ გამოთხოვილ იქნა კონკრეტულ მოდულებთან დაკავშირებული შეფასების მტკიცებულებათა პაკეტები და სტუდენტთა ნამუშევრები. გამოთხოვილი მასალების სიღრმისეულმა ანალიზმა აჩვენა, თუ როგორ იყო შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტები და რამდენად სწორად პასუხობდა ისინი დადგენილ სტანდარტებს.

აღნიშნული რეგულაცია სრულად უზრუნველყოფს საარქივო დაცულობას, გამჭვირვალობასა და შესაბამისი ინდიკატორის მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

ინდიკატორი 2.4.2.3 დაკმაყოფილებულია

2.4.2.4 პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დადგენილი რეგულაციის შესაბამისად სასწავლო ციკლის დასრულებისთანავე, აკადემია კომპლექსურად აანალიზებს მიღწეულ შედეგებს, შეფასების ეფექტიანობასა და საერთო დინამიკას. ამ მონაცემებზე დაყრდნობით უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გაუმჯობესებასა და განვითარებას, კერძოდ პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის დაწესებულება ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სტატისტიკური მონაცემების შეგროვებას კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში და იყენებს მათ პროგრამის შემდგომი განვითარებისა და სწავლების ხარისხის მონიტორინგის მიზნით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომლის საფუძველზეც პროფესიული განათლების მასწავლებელი სტუდენტების ცოდნა/უნარების შესაბამისად გეგმავს სწავლების პროცესს, ასევე აძლევს რეკომენდაციას სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის.

პროფესიული სტუდენტის მხრიდან კონსულტაციის საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური კონსულტირების გზით, პროფესიული განათლების მასწავლებელი აცნობს თავის მოსაზრებებს და სტუდენტთან ერთად ეძებს გზებს სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად. პიროვნული თავისებურებებიდან და ინტელექტუალური შესაძლებლობებიდან გამომდინარე განსხვავებულია მიდგომაც.

შესაბამისად, რეგულაციების დონეზე გარანტირებულია, რომ შეფასების შედეგები წარმოადგენს სტუდენტის აკადემიური და პროფესიული ზრდის უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს, რითაც აღნიშნული ინდიკატორი სრულად არის დაკმაყოფილებული.

ინდიკატორი 2.4.2.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
- „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
- „პროფესიულ სტუდენტთა შეფასების დამადასტურებელი მტკიცებულებები;
- ვალიდაციის პროცესის ამსახველი მტიკიცებულებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

- ერიფიკაციის გეგმები და ვერიფიკაციის პროცესის მტკიცებულებები;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

10.08.2026 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____